საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1933 წლის 10 მაისიდან

საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიონული კომიტეტისა და ცაგერის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო
«ЛЕЧХУМИ» — Орган Цагерского райкома Компартии Грузии и Цагерского районного Совета народных депутатов

№103 (6329) 28 აგვისტო 1990 წელი სამშაბათი ფასი 3 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს ნომერშია:

* სიძნელეები პასუხისმგებლობას არ გვიხსნის
* ქვეყნის საზოგადოებრივი ორგანიზაციები
* საქმეა მთავარი
მე-2 გვ.
* მთავარი მაინც მასწავლებელია
* ყველაფერი მოსწავლეთათვის
* საზღვაო სასწავლებელი გათუმში
მე-3 გვ.

პონსენსუსის საფუძველზე

თითქმის სანახევროდ შემცირდა საქართველოს მომავალი პარლამენტის რიცხობრივი შემადგენლობა. მიმდინარე წლის ოქტომბრის დამლევისათვის დანიშნული არჩევნების შემდეგ პარლამენტი წარმოდგენილი იქნება 250 დეპუტატით. გადაწყვეტილება ამის შესახებ დამტკიცებულია საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების თაობაზე კანონთან, რომელიც მიიღო რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს თბილისში გამართულმა სესიამ.

დეპუტატთა კორპუსის რიცხვი მომავალ პარლამენტში და მისი არჩევის სისტემა, უნდა ითქვას, ბახდა ყველაზე სადავო საკითხები არჩევნების შესახებ ახალი კანონის განხილვის დროს. როგორც ცნობილია, საქართველოში პირველად გაიმართება არჩევნები მრავალპარტიულ საფუძველზე. კონსენსუსი მიღწეული იყო მხოლოდ კომპრომისული გადაწყვეტილების შედეგად, რომელიც, ბოლოს და ბოლოს, დეპუტატებმა მიიღეს ცხარე დისკუსიების შემდეგ. უზენაესი საბჭოს არჩევნები მიზანშეწონილად ჩაითვალა მოეწყოს შერეული მაჟორიტარულ-პროპორციული სისტემების საფუძველზე. ეს ნიშნავს, რომ დეპუტატთა ნახევარს აირჩევენ ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქების მიხედვით, მეორეს—სრულიად საქართველოს პარტიული სიებით სხვადასხვა წარმომადგენლობის საფუძველზე.

პოლიტიკურ ოპონენტთა ცხარე კამათის დროს იშვა არჩევნების შესახებ ახალი კანონის სხვა ფუძემდებელი დებულებებიც, კერძოდ, არჩევის უფლება აქვთ საქართველოს მოქალაქეებს, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ რესპუბლიკაში და არჩევნების დღისათვის მიაღწიეს 18 წელს, ხოლო არჩეული შეიძლება იყვნენ საქართველოს მოქალაქენი, რომლებსაც არჩევნების დღისათვის შეუსრულდათ 23 წელი და რესპუბლიკაში მუდმივად ცხოვრობენ არანაკლები 10 წლისა. კანონის ამავე მუხლში განმარტებულია, რომ ეს უფლება ეძლევათ წარმოშობის, სოციალური და ქონებრივი მდგომარეობის, რასობრივი და ეროვნული კუთვნილების, სქესის, განათლების, ენის, პოლიტიკური შეხედულებების, სარწმუნოების, საქმიანობის სახეობისა და ხასიათის მიუხედავად. ის პირნი კი, რომლებიც მსახურობენ ისეთ სამხედრო ან გასამხედროებულ შენაერთებში, რომლებიც არ ექვემდებარებიან საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების იურისდიქციას, არ მონაწილეობენ საქართველოს უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნებში. ეს უფლება არ ეძლევათ არც ფსიქიკურად დაავადებულ მოქალაქეებს, რომლებიც სასამართლომ ქმედუუნაროდ ცნო, აგრეთვე იმ პირებს, რომლებიც სასამართლოს განაჩენით თავისუფლების აღკვეთის ადგილას იმყოფებიან.

დეპუტატობის კანდიდატთა დასახელების უფლება ეძლევათ საქართველოს პოლიტიკურ პარტიებს, რომელთა მოქმედებაც ვრცელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, მათ გაერთიანებებს. საგულისხმოა, რომ ასეთი უფლების მიღებისათვის, ისევე როგორც საარჩევნო კომისიებში თავიანთი წარმომადგენლების დანიშვნისათვის, პარტიები გადიან რეგისტრაციას ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, რის შემდეგ მათ აქვთ უფლება გაერთიანდნენ საარჩევნო ბლოკებად.

არჩევნების შესახებ ახალი კანონის მიღებით დეპუტატებმა შეიტანეს შესაბამისი ცვლილებანი და დამატებანი საქართველოს სსრ კონსტიტუციაში (ძირითად კანონში).

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმში

24 აგვისტოს გაიმართა რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა, რომელზეც საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების კანონის შესაბამისად განიხილეს საკითხი საქართველოს უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და ოთხი წევრის დანიშვნის შესახებ.

პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება.

(საქინფორმი).

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება

საქართველოს უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და ოთხი წევრის დანიშვნის შესახებ

განიხილა რა რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა ზოგიერთი რაიონული და საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმებისა და აღმასრულებელი კომიტეტების, პარტიების საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მოძრაობების წინადადებანი, „საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის 22-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. საქართველოს უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნოს:

ირაკლი სერგის ძე ყორდანია —საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

2. საქართველოს უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრებად დაინიშნონ:

თეიმურაზ გივის ძე გიორგაძე —საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგის მოადგილე;

პარმენ იორამის ძე მარგველაშვილი—თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატი;

ოთარ ირაკლის ძე მენაბდე —საქართველოს სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა დამოუკიდებელი პროფკავშირის ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე;

მანანა ვლადიმერის ასული ჭურდაძე—საქართველოს სსრ პროკურატურის განყოფილების გამგე.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

ზ. გუმბარიძე.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი

ვ. კვარაცხელია.

თბილისი. 1990 წლის 24 აგვისტო.

ცნობა

საქართველოს უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის მისამართია:

თბილისი, ჩიტაძის ქ. №8

ტელეფონები: 93-17-05, 93-78-64.

საკვების დამზადების გადამწყვეტი დღეებია

ცაგერის კოლმეურნეობა

საკვების დამზადება ახლა ჩვენი მშრომელების მეტად საშური და გადაუდებელი საქმეა. მთიბავები დროულად შეუდგნენ საქმეს. პირველ რიგში აეროპორტის სათიბი დაითიბა. საკვებმომპოვებელთა საიჯარო ბრიგადის (ხელმძღვანელი ზურაბ საღინაძე) მიერ პირველ დათიბვაზე 96 ტონა თივაა შეცხოველეობის ფერმისათვის დაპრესილ-დაბინავებული. ახლა მოიჯარეები თივის მეორე მოსავლის მისაღებად ემზადებიან.

გარდა ამისა კოლმეურნეობის საკვებმომპოვებლების მიერ უკვე დათიბულია მთის ძირითადი მასივი—„საკოპალიანოს“, „მორალის“ და „კარახტინის“ სათიბები, ნაყოფიერად შრომობენ საკვებმომპოვებლები — გრიშა შკუბულიანი, სოგრატ ბიშიკო, აფთიონ კოპალიანები, ავთანდილ ბერიძე, ჯუმბერ საღინაძე, გრიშა ბენდელიანი და სხვები, რომელთა ძალებით უკვე დათიბული 80 ტონა თივაა. ახლა აღებული თივის გამოტანაა აუცილებელი, მაგრამ საწვავის უქონლობა ძალზე აფერხებს საქმეს, არადა, გაწვიმების შემთხვევაში თივის ხარისხის გაუვარგისებაა მოსალოდნელი.

დათიბული თივის ორმოცდაათი პროცენტი კოლმეურნეობის მეცხოველეობის პირუტყვისათვის მზადდება, რამაც კიდევ უფრო დაინტერესა მთიბავები.

ლაჯანის კოლმეურნეობა

კოლმეურნეობის სათიბებში საკვების დამზადება მიმდინარეობს, ამინდებს ეშურებიან საკვებმომპოვებლები. ამ მხრივ საქმე კარგად მიდის უსახელოს აგროუბანში (უბნის აგრონომი რეზო გოლეთიანი). აღნიშნული უბნის მოიჯარეებს სულ 136 სული მესხვილფეხა პირუტყვი ჰყავთ კოლმეურნეობის ფერმიდან გაყვანილი, რისთვისაც ზამთრისათვის საკმარისი რაოდენობის საკვები უნდა მოიმარაგონ. დაითიბა სოფლის სათიბები. ახლა უსახელოს ბრიგადა, რომლის ხელმძღვანელია ალექსანდრე გუგაკა, ზედა უსახელოს, „ლუხვანარის“ სათიბებს თიბავენ, ითიბება ასევე ხოჯის, სპათაგორისა და ტიბიშურის სათიბები.

სიძნელეები პასუხისმგებლობას არ გვხსნის

დაძაბულ პოლიტიკურ ეკონომიკურ სიტუაციაში ყველა სფეროში გართულდა მუშაობა, და ბუნებრივია, ჩვენთანაც. ცაგერის სარემონტო-სამშენებლო უბნის კოლექტივს ეს სრულიადაც არ ხსნის პასუხისმგებლობას, პირიქით, დღეს ,ყოველმა ჩვენთაგანმა, პირველ რიგში, როგორც ქართველმა, უნდა ვიზრუნოთ ჩვენს სამოქმედო უბანზე კეთილსინდისიერი შრომითა და მაქსიმალური ძალისხმევით მივაღწიოთ უკეთეს შედეგებს რაიონისა და რესპუბლიკის უკეთესი ეკონომიკისათვის.

200 ათასი მანეთის სამუშაოები უნდა შეასრულოს გეგმით უბნის კოლექტივმა მიმდინარე წელს. დღეის მდგომარეობით შესრულებულია 200 ათასი მანეთის. გაკეთებულის გვერდით გასაკეთებელიც ბევრი გვაქვს წინ, წლის ბოლომდე, მით უფრო, როცა დაგეგმილის შესრულებისათვის ოპტიმალური ვადები იწურება.

ძირითადად უბანი ემსახურება ჯანმრთელობის დაცვის, კომუნალური სამსახურის, განათლებისა და სხვა სფეროებს, მოკლედ რომ ვთქვათ, სერიოზულ სფეროებს და აქედან გამომდინარე სერიოზულია ჩვენი საქმიანობაც.

მუშაობა რომ ნორმალურად წარვმართოთ და თითოეულს შევუსრულოთ შეკვეთილი სამუშაოები, ამისათვის განაცხადი, ფინანსირება, ხარჯთაღრიცხვა თუ სხვა დოკუმენტი, მათივე ინტერესებიდან გამომდინარე, უნდა დგებოდეს იანვარში ამ სამსახურების მიერ. ეს ყოველთვის არ ხერხდება, რასაც ობიექტურთან ერთად სუბიექტური მიზეზებიც ახლავს. ამას ჩვენი სიძნელეები და პრობლემები ემატება და საბოლოო ჯამში ეს ყველაფერი ატყვია საქმეს. ძნელია დაგეგმა წინასწარი სამუშაოები, შესრულების ვადები და ხარისხი, როცა ხელმოცარული ხარ ყველაფრისაგან. სამშენებლო მასალა არ გვეშოვება ფიზიკურად. რასაც ვღებულობთ, განსაკუთრებით ხე-ტყე, რომელიც რუსეთიდან შემოდის, უხარისხოა. ახლა ეს უხარისხოც ხანატრელია. ხშირად ქუთაისის ხე-ტყის, ლითონ-კონსტრუქციების ბაზები საერთოდ ცარიელია და ამ უბენზინობის დროს გაწბილებული უკან ვბრუნდებით.

დღეს სამშენებლო მასალები საერთო საკავშირო პრობლემაა, ეს გვესმის, მაგრამ გვერდს ხომ ვერ ავუვლით ისეთ ობიექტებს, რეგორიცაა სკოლები, საავადმყოფოები, კომუნალური საცხოვრებელი ბინები და სხვა, რომელთაც აუცილებელი რემონტი სჭირდება? აი, სად იყრის თავს სიძნელეები და უხარისხობა, რომლებზედაც გვიყენებენ პრეტენზიებს და ვღებულობთ კიდეც.

ცუდად დგას მუშახელის საკითხიც. მეთუნუქეები, დურგლები და სხვები, ჯერ ერთი საძებნია. ვინც არის, ხელს აძლევს იმუშაოს კერძო დაკვეთებზე, მოსახლეობაში, სადაც გაცილებით მეტ ანაზღაურებას იღებს, ვიდრე ჩვენთან. ამიტომ გამოსავალი ერთია—აუცილებლად გადაიხედოს შრომის ანაზღაურების მოქმედი ნორმები და სტანდარტები, როგორც ეს რაიონის მშენებელთა კავშირის საინიციატივო ჯგუფის მიმართვაში ითქვა, თორემ ძნელია ლაპარაკი ხარისხზე, სამუშაოს შესრულების ვადებზე.

ამ სიძნელეების ფონზე ასე გამოიყურება ჩვენი წლევანდელი ნამუშევარი—გადაიხურა და რემონტი გაუკეთდა ლაჯანის საუბნო საავადმყოფოს, ალუმინოვანი ფურცლებით დავხურეთ ქალაქის 40-ბინიანი საცხოვრებელი სახლი, ოყურეშის საშუალო სკოლის შენობა.

ამჟამად მიმდინარეობს მწვანე თეატრის აღდგენითი სამუშაოები. ყოველნაირად ვეცდები ერთ კვირაში დაიხუროს სცენაც.

სარემონტო-სამშენებლო უბნის მშრომელთათვის ქალაქის კეთილმოწყობის სამუშაოები უპირატესია. თითქმის ქალაქის ყველა დაორმოებული ქუჩა ამოიკვნესა და დაეცარა ასფალტის საფარით. წაბლსწრეტი-ერეკლეს გაუკეთდა ორ-ერთ ქუჩას და ქალაქის მონაკვეთს.

უბნის ასფალტის ქარხანა შეუფერხებლად მუშაობს. ასფალტის კოოპერატივიც გარკვეულწილად ზურგს უმაგრებს ჩვენს ეკონომიკას, მას აქვს რეალური შესაძლებლობა მოემსახუროს ყველა შემკვეთ ორგანიზაციას და მოსახლეობასაც.

გათვალისწინებული გვაქვს ქალაქის კეთილმოწყობის, კომუნალური ბინების რემონტის, ქვედა ცაგერის გაგა-ბაღის გადახურვის სამუშაოები ზამთრის დადგომამდე მოვასწროთ.

ასე რომ, საკეთებელ-საზრუნავი ბლომადაა. დახმარება და შველა კი ბევრი არაფერია არც ჩვენი სამინისტროდან, არც ტრესტიდან, არც შემკვეთი ორგანიზაციების შესაბამისი სამინისტროებიდან. ეს, ვიმეორებ პასუხისმგებლობას არ გვხსნის ჩვენი სინდისისა და მოვალეობის წინაშე.

შ. ომანაძე.

ცაგერის სარემონტო-სამშენებლო უბნის ინჟინერი.

სკკპ XXVIII კრების დელეგატებს, იმ დოკუმენტებთან ერთად, რომლებიც ახასიათებენ პარტიის პოზიციას საზოგადოების განვითარების ძირითადი პრობლემების მიმართ, განზრახული აქვთ მიიღონ რეზოლუციაც სკკპ ურთიერთობის შესახებ სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან. მაგრამ კომისია, რომელიც მის პროექტზე მუშაობდა, ან დასკვნამდე მივიდა, რომ საჭირო არ იყო სპეციალური რეზოლუციის მიღება, რამდენადაც მას საკანონმდებლო დიდი ყურადღება დეთმო ყრილობის სხვა დოკუმენტებში, მათ შორის საპროგრამო განცხადებაშიც „ჰუმანური, ფენომენალური სოციალიზმისათვის“. კარში „პარტია და საზოგადოებრივი ორგანიზაციები“ ხაგასმულია, რომ სპეციალური კავშირი ლენინისტური პარტია დაინტერესებულია ითანამშრომლოს სოციალისტური ორიენტაციის ზოძრაობებთან, სურთ მათთან დიალოგი და თანასწორუფლებიანი პარტნიორობა.

ამ საკითხის აქტუალობა იზრდება. უფრო მეტიც, ამ შემთხვევაში კომპარტია ცხოვრებას ჩაბარჩა: სხვადასხვა ორგანიზაციები, გაერთიანებები, ფრონტები, კავშირები, ფონდები ჩვენს ქვეყანაში უკვე მერამდენე წელია რაც მოქმედებენ. მაგალითად, მარტო რუსეთის სფს რესპუბლიკაში ორმოცი გაერთიანებაა ფუნქციონირებს თავის თავს პარტიის, ათობით სხვადასხვა მიმდინარეობა არსებობს ამერიკაკავკასიაში და ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში.

ამ ფორმირებებს შორის, რომლებიც ეკონომიკაში მომავალი რევოლუციაა გამოიწვია,—მოსკოვის ერთობლივ საწარმოთა ასოციაციაა. მისი პრეზიდენტის, პროფესორ ვ. ტიხომიროვის აზრით, ერთობლივი საწარმოები, რომლებიც სპეციალურ ეკონომიკის ატრიბუტებია, ამჟამად ძნელ დროს განიცდიან.

დღევანდელობის ერთ-ერთი „მტკივნეული“ პრობლემაა გარეგნის დაღუპვა. ადამიანი მიხვდა, რომ დაღუპული ბუნების გადარჩენა მის ხელთაა—იგი საჩქაროდ შეუდგა ეკოლოგიური საზოგადოებების, პროგრამების, ცენტრების დაარსებას. კურსკში, მაგალითად, შეიქმნა საუწყებათაშორისო ეკოლოგიური კვლევის ცენტრი. მოცემულ შემთხვევაში ინიციატივა ეკუთვნის მიწათმოქმედებისა და ეროზიისაგან ნიადაგის დაცვის საკავშირო სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტს, ცენტრალურ -შავმიწანიადაგიანი ბიოსფეროს ნაკრძალსა და ადგილობრივ მშვიდობისმყოფლობის ორგანიზაციებს.

ეროვნული თვითშეგნების ჩაწოყალიბებას, ენის შენარჩუნებას, წინაპართა ტრადიციებით ბავშვების აღზრდას ხელს უწყობს ეროვნული აღორძინების საზოგადოება.

არსებობს პროფესიების მიხედვით გაერთიანებები, მაგალითად, აერარიკოსთა, იურისტთა, ექიმების. გიდების ასოციაციაც კი შეიქმნა. მან უნდა დაიცვას მათი ეკონომიკური და იურიდიული უფლებები, დაეხმაროს საერთაშორისო დონის კადრების მომზადებაში, დაიცვას პროფესიონალები შემთხვევითი, არაკომპეტენტური ადამიანებისაგან.

„საზოგადოებრივ გაერთიანებათა შესახებ“ კანონის პროექტში მოცემულია თავისუფალ ორგანიზაციათა შექმნის ბევრი პრობლემის გადაწყვეტა. ბევრი დარჩა სადავო საკითხიც. მასზე პასუხის გაცემა შეუძლია ყოველ ჩვენთაგანს ამ დოკუმენტის საყოველთაო განხილვის დროს. ბევრი ახალი ორგანიზაციის პრაქტიკა და მუშაობის გამოცდილება, რასაკვირველია, ხელს შეუწყობს კანონის საბოლოო ვარიანტის მიღებას, რომელიც მოწოდებულია დაეხმაროს თითოეული მოქალაქის შეხედულებებისა და ინტერესების რეალიზაციასა და მთელი საზოგადოების დემოკრატიზაციას.

ლ. ერმაკოვი.

ქვეყნის საზოგადოებრივი ორგანიზაციები

ადამიანები ჩვენს გვერდით

საქმეა მთავარი

ქალის საქმე-საკეთებელს რა გამოლევს, მაგრამ ახლა საშური, შრომატევადი სამუშაო, მამაკაცის ძალის თანაბარი, მიწყნარდა სოფლად. ბაღ-ბოსტანი მოსავალს გვაძლევს, ვენახიც და ყანაც დაგვიბრუნებს მალე გაწეული ოფლის წილს.

ნარგიზა ყურაშვილი ერთი ჩვეულებრივი რიგითი ქალია სოფელ ლაჯანაში. მაგრამ ოჯახისა და შრომის სიყვარული თუ გამოარჩევს სხვებისაგან. ესაა სიხარულს, სიმშვიდეს რომ ანიჭებს.

შინაგანად, როგორც ქართველს და როგორც ჩვენი საზოგადოების ერთ-ერთ წევრს, ხშირად უფიქრია: არაა მთავარი ყველა ლოზუნგებსა და მოწოდებებს ისროდეს, რუპორიდან ძარღვებდაბერილი გვმოძღვრავდეს. თავისი საკეთებელი ყველამ უნდა ვაკეთოთ. ესაა საქართველოს სიყვარული, მის ხვალინდელ ხარაჩოზე დადებული ერთი აგური. წმინდა ეროვნული საფიქრალი.

მის ოჯახს შეუძლია თვალი გაუსწოროს საზოგადოებას, არაა სასოფლო, საზოგადოებრივი საქმე, გვერდზე რომ განუდგნენ. ვახიც კარგი მოვლილი აქვთ და ყანაც. ახლა გლეხური მეურნეობის პიროებებში შრომობენ, მერე რა? ღმერთმა მოახმაროთ შრომით მოწეული ჭირნახული. დანამეტ პროდუქციას სად წაიღებენ? სახელმწიფოს ჩააბარებენ, მსურველს მიჰყიდიან, საერთო დოვლათს მიუმატებენ.

წელს ნარგიზამ აბრეშუმის ჭიაც გამოკვება. აქაც კარგი შედეგი აქვს—50 კილოგრამი აბრეშუმის ხარისხიანი პარკი მიიტანა მიმღებ პუნქტში.

მ. ძნელაძე.

სიტყვა საქმიანი

ქალაქის კულტურაზე, მის იერ-სახეზე ჩვენი გაზეთის ყოველ მეორე ნომერშია ლაპარაკი.

გულს ხვდება ბევრი რამ, თითქოს ერთი შეხედვით წვრილმანი, მაგრამ ჩვენს კულტურაზე ბევრისმთქმელი. ქალაქის ბაღში, ბაღის წინ მოედანზე, თითქმის ყველა ქუჩაში მხოლოდ სამკაულებად თუ გამოიყურება სანაგვე ურნები. სიგარეტის ნამწვავები, ქაღალდის ნაგლეჯები და სხვა ნაგავი პირდაპირ ქუჩებში ყრია. ეს მექოთნეს ერთი მტვრეველი აუვიდაო. ვერანაირი დაცვა-დასუფთავების სამსახური ვერ გაუძლებს ამ ვულგრილობას. ამასთან ზოგიერთმა მოქალაქემ ისიც იკადრა, ახლადგაკეთებული ურნებიც კი მოიპარა და სახლში წაიღო.

* * *

ტაქსი, ავტობუსი—დღეს კაპრიზად ჩაგვეთვლება საზოგადოებრივი ტრანსპორტის რეგულარულ მომსახურებაზე ხმის ამოღება უბენზინობის ვითარებაში, მაგრამ თუ კი დღის საათებში ტრანსპორტი ასე თუ ისე არის, საღამოს 7-8 საათიდან ტაქსის ჭაჭანება არაა ჩვენს ქალაქში.

ახლა ზაფხულის დღეებში, ამდენ სტუმარსა და მიმსვლელ-მომსვლელს უჭირთ მგზავრობა. ამიტომ კარგი იქნება თუ ავტოსატრანსპორტო საწარმოს ხელმძღვანელობა გამონახავს საშუალებას თუნდაც ერთი ტაქსი იდგეს ქალაქის ცენტრში საღამოს საათებში და მოემსახუროს ადამიანებს.

* * *

რაკი ავტოტრანსპორტის მომსახურებაზე ვლაპარაკობთ, კიდევ ერთი საკითხი, წლების მანძილზე რომ აღელვებს ჩვენი ქალაქის მშრომელებს. რესპუბლიკაში ვერ ნახავთ ქალაქს, დაბას, რაიონულ ცენტრსაც კი, სადაც არ მოძრაობდეს თუნდაც ერთი საქალაქო ავტობუსი. ჩვენი ქალაქი დღითიდღე ფართოვდება. ქალაქის ცენტრიდან №2 ორმოცბინიანი სახლი, საგზაო სამმართველო, - გაზის კანტორა მთელი რიგი სხვა დაწესებულებები კილომეტრით და მეტითაა დაშორებული. ქვედა ცაგერამდე, სადაც ქალაქის ასობით მუშა-მოსამსახურე ცხოვრობს, სპეციალურად არც ერთი ავტობუსი არ მოძრაობს. ჩრდილოეთიდან მწვანე თეატრი და სხვა ადგილებიც კარგა მანძილითაა დაშორებული. დღეს, როგორც ჩვენთვის ცნობილია, ავტოსატრანსპორტო საწარმოს ავტოპარკი გაზრდილია. საშვილიშვილო საქმე იქნება, თუ საწარმოს ხელმძღვანელები იფიქრებენ ამ საკითხზე, ადამიანთა მომსახურება ხომ გაუმჯობესდება და გაუმჯობესდება, არც შემოსავალი იქნება დასაწუნი, მით უფრო ახლა თვითდაფინანსების და თვითანაზღაურების პირობებში.

ნამდვილად დროულია ქალაქიდან აეროპორტამდე და პირიქით, წრიული მარშრუტით ერთი ავტობუსი მაინც მოძრაობდეს.

მოდის ახალი სასწავლო წელი

ახლა, როცა მიმდინარეობს ჩვენი საზოგადოების ძირფესვიანი გარდაქმნა, როცა საქართველოს რესპუბლიკა სრული ეკონომიკური და პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვების წინაშე დგას, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მომავალი თაობის სწავლებისა და აღზრდის საქმეს.

ახალ სასწავლო წელს რაიონის სკოლები მომზადებულნი ხვდებიან. სკოლებმა, სკოლამდელი და სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულებებმა მიიღეს მნიშვნელოვანი რაოდენობის ახალი ინვენტარ-მოწყობილობა, დგამავეჯი, თვალსაჩინოებანი და სწავლების ტექნიკური საშუალებანი, შეკეთდა სასკოლო შენობები და ინვენტარი, შემოზიდულ იქნა მოსწავლეთა ფორმის ტანსაცმელი, სასწავლო ნივთები, სახელმძღვანელოები და მეთოდური ლიტერატურა.

ახლა მთავარია მაქსიმალურად გამოვიყენოთ სწავლებამდე დარჩენილი დრო და საქმე იმდაგვარად მოვაწყოთ, რომ მომავალი თაობის სწავლება და აღზრდა სრულად პასუხობდეს დღევანდელი დღის გაზრდილ ამოცანებს.

მიმდინარე სასწავლო წელი მთელი რიგი სიახლეებით ხასიათდება.

წელს პირველი კლასები მუშაობას შეუდგებიან პერსპექტიულ გარდამავალი სასწავლო გეგმის საფუძველზე. მშობლიურ ენასა და მათემატიკასთან ერთად შეისწავლიან ისეთ საგნებს, როგორიცაა ბუნების კარი, (გარესამყაროს გაცნობისა და ბუნებათმცოდნეობის ნაცვლად), მუსიკა და რიტმიკა (მუსიკისა და ფიზკულტურულ - ქორეოგრაფიული მოძრაობის ურთიერთშერწყმით). მხატვრული შრომა (სახვითი ხელოვნებისა და შრომითი სწავლების ურთიერთ შეხამებით). ამ საგნებში პროგრამებს მალე მიიღებენ ჩვენი მასწავლებლები.

რესპუბლიკის ქართული სკოლების მე-5 კლასში საქართველოს ისტორიის სწავლებას დამატებით ეთმობა 15 საათი სსრ კავშირის ისტორიის სწავლებისათვის გათვალისწინებული საათების ხარჯზე. წელს მე-11 კლასში ცალკე საგნად შეისწავლება საქართველოს ისტორია, რომელსაც დაეთმობა 34 სათი.

მასწავლებლის განაკვეთი დაწყებით კლასებში დადგინდა 17, ხოლო ზევითა კლასებში 15 საათი, ისე, რომ განაკვეთის ღირებულება არ მცირდება, იგივე რჩება. არის სხვა ცვლილებებიც, რომელთა შესახებ ფართოდ იქნება ლაპარაკი მასწავლებელთა რაიონულ კონფერენციაზე და საგნობრივი სექციების სხდომებზე.

სექციების სხდომებზე მთავარი ყურადღება უნდა დაეთმოს ახალი სასწავლო გეგმების, პროგრამებისა და სახელმძღვანელოების განხილვას, სიახლეებს საგნის სწავლებაში, საქმიანად, საფუძვლიანად ვიმსჯელოთ საგნის სწავლების მეთოდებისა და ხერხების სრულყოფის საკითხებზე.

ცნობილია, რომ მოსწავლეთა საკმაო ნაწილი სწავლით არ ინტერესდება, გაურბის გაკვეთილების მომზადებას, უქმად ატარებს დროს. მთავარია გამოვნახოთ საჭირო ხერხები და მეთოდები იმისათვის, რათა აღვუძრათ მოსწავლეს წიგნისადმი სიყვარული, სწავლისადმი ინტერესი. საგნობრივმა სექციებმა ამ საკითხებზეც უნდა იმსჯელონ. მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ სწავლა დიდი შრომაა და ყოველმხრივად უნდა ვეცადოთ, რომ ეს შრომა ხალისიანი იყოს. ბავშვი იმეცადინებს, სწავლას არ გაეჭიანება თუკი მასა და მასწავლებელს შორის დამყარდება კეთილი განწყობილება, თუკი მოსწავლე დაინახავს, რომ მასწავლებელს იგი უყვარს, პატივს სცემს მის ღირსებას, ორიანებით არ აავსებს ჟურნალს. ერთი სიტყვით, უნდა შეიცვალოს მასწავლებლის დამოკიდებულება

მთავარი მაინც მასწავლებელია

ბზე.

სექციების სხდომებზე მთავარი ყურადღება უნდა დაეთმოს ახალი სასწავლო გეგმების, პროგრამებისა და სახელმძღვანელოების განხილვას, სიახლეებს საგნის სწავლებაში, საქმიანად, საფუძვლიანად ვიმსჯელოთ საგნის სწავლების მეთოდებისა და ხერხების სრულყოფის საკითხებზე.

ცნობილია, რომ მოსწავლეთა საკმაო ნაწილი სწავლით არ ინტერესდება, გაურბის გაკვეთილების მომზადებას, უქმად ატარებს დროს. მთავარია გამოვნახოთ საჭირო ხერხები და მეთოდები იმისათვის, რათა აღვუძრათ მოსწავლეს წიგნისადმი სიყვარული, სწავლისადმი ინტერესი. საგნობრივმა სექციებმა ამ საკითხებზეც უნდა იმსჯელონ. მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ სწავლა დიდი შრომაა და ყოველმხრივად უნდა ვეცადოთ, რომ ეს შრომა ხალისიანი იყოს. ბავშვი იმეცადინებს, სწავლას არ გაეჭიანება თუკი მასა და მასწავლებელს შორის დამყარდება კეთილი განწყობილება, თუკი მოსწავლე დაინახავს, რომ მასწავლებელს იგი უყვარს, პატივს სცემს მის ღირსებას, ორიანებით არ აავსებს ჟურნალს. ერთი სიტყვით, უნდა შეიცვალოს მასწავლებლის დამოკიდებულება

ობა უნდა გაიმართოს გაკვეთილის ორგანიზაციისა და შინაარსის, მისი ეფექტიანობის ამაღლების, სწავლების ახალი პროგრესული მეთოდებისა და ხერხების სრულყოფის საკითხებზე.

დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს სასწავლო კაბინეტების აღჭურვისა და გამოყენების საქმეს. მთელ რიგ სკოლებში ამას ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ, არ ზრუნავენ თვალსაჩინო-დიდაქტიკური და სასწავლო-ტექნიკური საშუალებების გამოყენებისათვის, რის გარეშეც შეუძლებელია საგნის სწავლების მაღალი დონე. ნაბეჭდი და ხელით დამზადებული თვალსაჩინოების, ტექნიკური საშუალებების, ფილმოთეკიდან გატანილი ფილმების უკეთ გამოყენება, არსებული ტექნიკის მოვლა-პატრონობა, მწყობრიდან გამოსული აპარატურის აღდგენა და სხვა საკითხები ჩვენი ყოველდღიური მუშაობის ცენტრში უნდა იყოს.

სექციის სხდომებზე უნდა ვიმსჯელოთ ბავშვთა დამოუკიდებელი მუშაობის ხერხებსა და მეთოდებზე, იმის შესახებ თუ როგორ ვამუშაოთ მოსწავლეები სახელმძღვანელოებზე, სასწავლო პროგრამის რთულ საკითხებზე, ამოცანების სხვადასხვა გზით ამოხსნაზე, როგორ გავაცნოთ მოსწავლეებს ტაბულები, ილუსტრაციები, როგორ შევადგინოთ გეგმა-კონსპექტები, თეზისები, საქმიანი ქაღალდები და სხვა. უნდა ვიფიქროთ იმის შესახებ, თუ როგორ დავძლიოთ ჩვენს სკოლებში გამეფებული ზეპირობა, სასწავლო მასალის გაუაზრებელი ზუთხვა, როგორ გამოვუმუშაოთ მათ გაკვეთილში ძირითადის, მთავარის გამოყოფის უნარ-ჩვევები.

ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა სასწავლო და აღმზრდელობითი პროცესის ორგანული შეხამება. ახლა, როცა რესპუბლიკა სრული ეკონომიკური და პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინაშე დგას, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება აღმზრდელობითი მუშაობის სწორად წარმართვას. უნდა მოვუსმინოთ მოსწავლეებს, პატივი ვცეთ მათ მოსაზრებებსა და შეხედულებებს, ნუ მოვითხოვთ მათგან უსიტყვო მორჩილებას. დეპოლიტიზაციამ და ახლებურად დაყენებულმა აღმზრდელობითმა მუშაობამ ხელი უნდა შეუწყოს თავისი ქვეყნისა და ხალხის ერთგული, ნამდვილი ქართველის აღზრდას, რომელშიაც ყველაზე მაღლა იქნება დაყენებული ჯანსაღი ეროვნული ინტერესები. მოსწავლეებს უნდა ვუთხრათ სიმართლე და მხოლოდ სიმართლე, უნდა მოვიპოვოთ მათი ნდობა. თვალისახვევამ, სიყალბემ მოჩვენებითმა წარმატებებმა და უსაფუძვლო ტრაბახმა, რაც წინათ იყო გამეფებული და დღესაც არ არის დაძლეული, ბევრი სიძნელე და დაბრკოლება შეუქმნა ჩვენს ქვეყანას, საფუძვლიანად შეარყია ჩვენი ხალხის რწმენა და პარტიის ავტორიტეტი.

ერთი სიტყვით, ბევრია ისეთი საკითხი, რომელზედაც ფართო სჯა-ბაასი და აზრთა გაზიარება უნდა გაიმართოს სექციურ სხდომებზე. ამის საფუძველზე მივიღებთ რეკომენდაციებს ჩვენი შემდგომი მუშაობის სრულყოფისათვის.

საყოველთაო ჭეშმარიტებაა, რომ სკოლაში თავი და თავი მასწავლებელია. კარგი მოსწავლეები კარგ, ნიჭიერ მასწავლებელს ჰყავს და პირიქით, ცუდი მასწავლებელი ცუდ ბავშვებს ზრდის. ჩვენს სკოლებში ბევრი სახელოვანი პედაგოგი მუშაობს, რომლებიც წარმატებით ასრულებენ მინდობილ საქმეს, ახალ-ახალ წარმატებებს აღწევენ მომავალი თაობის სწავლა-აღზრდის საქმეში. ვერ დავმალავთ იმასაც, რომ ბევრმა მასწავლებელმა შეანელა მუშაობა, ცუდად ემზადება გაკვეთილებისათვის, ვერ უზრუნველყოფს მოსწავლეთა ნორმალურ მომზადებას პროგრამის ფარგლებში. ძირითადად ამგვარი მასწავლებლებია კურსებზე წასვლას რომ გაურბიან.

მიმდინარე წელს ტარდება რესპუბლიკური პედაგოგიური კითხვა. მოხსენებათა თემატიკა გავამრავლეთ და სკოლებს დავუგზავნეთ. საჭიროა მასწავლებლებმა და სხვა პედაგოგიურმა მუშაკებმა შეარჩიონ მათთვის საინტერესო თემები და ბეჯითად იმუშაონ მათ მოსამზადებლად. ჩვენს რაიონს ამ მხრივ კარგი ტრადიციები აქვს და იგი არ უნდა დავკარგოთ. თემების მოსამზადებლად გონივრულად უნდა გამოვიყენოთ სწავლის დაწყებამდე არსებული თავისუფალი დრო. თემების წარმოდგენის ვადაა ნოემბრის ბოლო.

წელს რაიონის სკოლებში 15-მდე დამწყები პედაგოგი მოვა. საჭიროა დახმარება და გულის სითბო არ მოვაკლოთ ახლადდანიშნულ მასწავლებლებს. შევუქმნათ მათ ნორმალური საყოფაცხოვრებო პირობები, ჩავაბათ ისინი აქტიურ პედაგოგიურ ცხოვრებაში, მეთოდურ მუშაობაში, ყოველმხრივ შევუწყოთ ხელი პედაგოგიური კვალიფიკაციის ამაღლებაში.

ლ. ჩიქოვანი.

განათლების განყოფილების მეთოდური კაბინეტის გამგე.

საზღვრო სასწავლებელი ბათუმში

ახალი სასწავლო წლიდან დაუსწრებელი სწავლების სტუდენტებს გამოცდების ჩასაბარებლად საქართველოდან ქვეყნის საზღვაო უმაღლეს სასწავლებლებში წასვლა აღარ მოუწევთ. ბათუმში იხსნება ნოვოროსიისკის უმაღლესი საინჟინრო-საზღვაო სასწავლებლის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტი. ახალი სასწავლო დაწესებულების ორგანიზაცია და დაფინანსება საქართველოს საზღვაო სანაოსნომ იკისრა.

სასწავლო - საკონსულტაციო პუნქტი იხსნება ბათუმის საზღვაო სასწავლებლის ბაზაზე. აქ ჯერჯერობით ფუნქციონირებას დაიწყებს გემთმშენებლობისა და გემთმექანიკოსების მოსამზადებელი პირველი სამი კურსი. ხოლო დროთა განმავლობაში, ალბათ რადიოინჟინრებისა და ელექტრომექანიკოსების სპეციალისტების მომზადებასაც დაიწყებენ.

ყველაფერი — მოსწავლეთათვის

მოახლოვდა ახალი სასწავლო წელი. ახლა, როგორც მოსწავლეების, ისე მათი მშობლების საზრუნავი ერთია—შეიძინონ საჭირო სასწავლო ნივთები და სასკოლო ფორმის ტანსაცმელი. სწორედ ამ მიზნით რამდენიმე დღეა დაიწყო და მიმდინარეობს სასკოლო ვაჭრობა.

რაიკოოპერატივის ხელმძღვანელებმა ყველაფერი იღონეს, რომ სანიმუშოდ მომზადებულიყვნენ სასკოლო ვაჭრობისათვის, რომელიც აგვისტოს მესამე დეკადაში როგორც მთელ რესპუბლიკაში, ისე ჩვენს რაიონში ყოველწლიურად ტარდება, წელს მან უფრო ორგანიზებული ხასიათი მიიღო.

რაიკოოპერატივის გამგეობის (თავმჯდომარე ზ. ბენიძე, ვაჭრობის განყოფილების გამგე გ. ქარსელაძე) მიერ გატარებული დროული ღონისძიებების შედეგად ქალაქის მაღაზია „ბავშვთა სამყარო“ კარგად მომზადებული შეხვდა სასკოლო ვაჭრობას. ამ დღეებში ხალხმრავლობაა ამ მაღაზიაში. მოსწავლეები, მათი მშობლები, იძენენ სწავლისათვის აუცილებელ ნივთებს, ფორმის ტანსაცმელს.

პირველად სასკოლო-საკანცელარიო საქონლის სექციას (სექციონერი გ. ონიანი) ვესტუმრეთ. სექციაში საკმაო რაოდენობით აქვთ სხვადასხვა სახის საწერი რვეულები, ბურთულიანი ავტოკალმები, სახატავი რვეულები, ფერადი ფანქრები, სახაზავი ფარგლები, ჩანთები და სხვა ნივთები. სექციონერმა გ. ონიანმა გვითხრა—მოსწავლეთათვის ყველა საჭირო ნივთები გვაქვს გარდა პირველი, მეორე და მესამე კლასების რუსული ენის საწერი რვეულებისა, რომლითაც გვამარაგებს ზუგდიდის ქაღალდის კომბინატი. რაიკოოპერატივის პასუხისმგებელი მუშაკები ამ დღეებში იყვნენ ზუგდიდში და არის იმედები, რომ მალე დამზადდება აღნიშნული კლასებისათვის საჭირო რვეულები. შეტყობინებისთანავე იქნება შემოზიდული რაიონში.

მზა ტანსაცმლის სექციაში (სექციონერი თ. ასათიანი) ძირითადად ვაჭრობენ გოგონებისა და ვაჟების სასკოლო ფორმით, სპორტული ტანსაცმლით და ფეხსაცმლით. აქ პირველი კლასიდან მიყოლებული მეთერთმეტე კლასის ჩათვლით აქვთ ყველა ზომის ტანსაცმელი, შავი და თეთრი წინსაფრები, საკმარისი რაოდენობითაა შემოზიდული სპორტული ტანსაცმელი და ფეხსაცმელი.

შედარებით ცუდი მდგომარეობაა მოსწავლეთა სასწავლო სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის საქმეში. წიგნის მაღაზიაში 67 დასახელების სასკოლო სახელმძღვანელოებიდან შემოზიდულია მხოლოდ 38 დასახელების, სახელმძღვანელოს გამოცემა კი იგვიანებს, მაგრამ რადგან სწავლის დაწყება გადატანილია 17 სექტემბრამდე, იქნებ მოესწროს ამ სახელმძღვანელოების გამოცემა, რომლებიც შეტყობინებისთანავე შემოიზიდება.

რაიკოოპერატივის ხელმძღვანელობას დაგეგმილი აქვს მასწავლებელთა კონფერენციის დღეს, 29 აგვისტოს მოეწყოს სასკოლო-საკანცელარიო ნივთების, მეთოდური და მხატვრული ლიტერატურის გამოფენა-ვაჭრობა.

ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ —გვითხრა რაიკოოპერატივის ვაჭრობის განყოფილების გამგემ გ. ქარსელაძემ იმისათვის, რომ უზრუნველვყოთ ყველა მოსწავლე სახელმძღვანელოებით, სასწავლო ნივთებით, სასკოლო ფორმისა და სპორტული ტანსაცმლითა და ფეხსაცმლით, ამასთან ჩვენი ყურადღების ცენტრშია სასკოლო სასადილოებისა და ბუფეტების კვების პროდუქტებით უზრუნველყოფის საკითხი.

გვწამს, რაიკოოპერატივის ხელმძღვანელები სიტყვას არ გატეხენ და ამით თავიანთ წვლილს შეიტანენ მოსწავლეთა კარგი გუნებ-განწყობილების შექმნაში, რაც დიდად შეუწყობს ხელს მათ სწორად აღზრდას, კარგ სწავლას, მათში ეროვნული სულისკვეთების ჩამოყალიბებას.

ვლ. დავითულიანი.

მარიამობა

ქრისტეს მიერ საყვარელო ძმანო!

დღეს ქრისტიანული ეკლესია იხსენიებს მიძინებას ანუ მიცვალებას ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისას, რომლის შესახებაც საღვთო წერილი მოგვითხრობს შემდეგ: „ყოვლადწმიდა ქალწულ მარიამს მის ამქვეყნიური ცხოვრების დასასრულის შესახებ სამი დღით ადრე ეუწყა მთავარანგელოზ გაბრიელის მიერ. ღვთის გალობით იერუსალიმში შეიკრიბა ყველა მოციქული, თომას გარდა. ოთახი, სადაც დედა-ღვთისა იმყოფებოდა, მოიცვა უჩვეულო ნათელმა. ყოვლადწმიდას სული მიიღო თვით უფალმა ღმერთმა, ხოლო მისი უწმიდესი გვამი წვიდა მოციქულებმა უდიდესი მოკრძალებითა და პატივისცემით დაასაფლავეს გეთსამანიის ბაღში, იმ სამარხში, სადაც განისვენებდნენ მისი მშობლები. სამი დღის შემდეგ მოვიდა მოციქული თომა და მოისურვა თაყვანი ეცა ღვთისმშობლის ცხედრისათვის. მოციქულებმა გახსნეს სამარხი, მაგრამ იქ სხეული აღარ დახვდათ. მომხდარი სასწაულით გაკვირვებულ მოციქულებს მოულოდნელად გამოეცხადათ ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი ანგელოზებთან ერთად და ახარა მათ: „გიხაროდეთ, რამეთუ თქუენთანა ვარ ყოველთა შინა დღეთა“.

დიდებული და მარად სახსოვარია ჩვენთვის ძმანო დღევანდელი სასწაული. მართლაც და როგორ შეიძლება უდიდესი სიხარულით არ გავიხსენოთ ის დღე, როდესაც ყოვლადწმიდა ქალწული მარიამი—მშობელი იესო ქრისტესი და დედა ყოველი ქრისტიანისა, უხრწნელი ხორცით ავიდა ზეცას და იქ მარადჟამ იწყო ვედრება თავისი საყვარელი ძისადმი ადამიანთა ცოდვების მისატევებლად და კაცთა მოდგმის გადასარჩენად. ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიცვალება როდი ჰგავდა ჩვეულებრივი ადამიანის გარდაცვლებას, სევდას რომ გვრის ახლობელ ადამიანთ. სწორედ ამ მიძინება-მიცვალებით უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ უმაღლეს ანგელოზებზე—ქერუბიმებსა და ხერაფიმებზე უმეტეს აღამაღლა ზეცას მშობელი თავისი და დედა ყოველი ქრისტიანისა. უწმიდესი ქალწულის მიცვალება მარტო ხილული ქვეყნიდან განსვლა როდია, იგი ქრისტიანთა საოხად ღვთის წინაშე დამკვიდრება და გაბრწყინვებაცაა... ამიტომ ვხარობთ ქვეყნის მკვიდრნი და ვიტყვით: დღეს ყოვლადწმიდა ქალწული მარიამი, ხორციელად მშობელი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი მიცვალების და ზეციურ იერუსალიმში დამკვიდრების, დღეს ქალწული ზეცად ამაღლების და უპატიოსნეს ქერუბიმთა და უზეშთაეს ხერაფიმთასა გაბრწყინდების. დღეს ქვეყნის სძალი ზეციური სძალ იქნების, დღეს უხრწნელი დედოფალი ზეცას ამაღლდების და ადამიანი სიკვდილისაგან განთავისუფლდების. დღეს მთავარანგელოზი ქალწულ მარიამს კვლავ ახარებს და ეტყვის: „გიხაროდენ მიმადლებულო უფალი შენთან იქნების“.

ყოველთვის თქვენთან თქვენთვის მლოცველი ვიქნებით, ანუ გეშე დედაო წმიდაო მოციქულნი და ქრისტეს ყოველი მიმდევარი ქვეყნიდან გასვლისას. ჰეშმარიტად მარადის ჩვენთან ხარ კურთხეულო დედოფალო, ჩვენს შორისა ხარ და ჩვენ შენში ვართ. შენ ხარ ჩვენი ნამდვილი დედა, სიყვარული, რომლითაც ჩვენ მოკვდავთ გვიყვარხარ უწმინდესო დედაო, აღემატება ქვეყნიურ დედაშვილურ სიყვარულს, რადგან ქვეყნად არავინაა წმიდა, შენ კი წმიდა ხარ და უბიწო. ამიტომ გვიჭირს მოკვდავთ შენი სიწმინდის ღირსეული შექება და შესხმა და ისევ ანგელოზის სიტყვებით გვინდა მოგმართოთ კურთხეულო: „გიხაროდენ მიმადლებულო, რომელმან აღმოგვიცენე უკვდავება და ცხოვრება საუკუნო! გიხაროდენ ხეო ცხოვრებისაო, რომელმან გამოიღე ნაყოფი იგი ცხოვრების, რომლისგან ვცხოვნდით ყოველნი, გიხაროდენ დედაო კურთხეულო, რამეთუ ჩვენ დაცემულნი შენ მიერ აღვსდექით და აღვემართენით, გიხაროდე სძალო უსძლოო!“

მოვედით საყვარელნო ძმანო, ვიხარებდეთ და ვიშვებდეთ ყოვლადწმიდა ქალწულის ხსენებას და მის მიერ გამოხსნილნი შევსწირავდეთ დიდებას ღმერთსა, მამასა და ძესა, და წმიდასა სულსა, რომელს ჩვენი ყოველი დიდება, პატივი და თაყვანისცემა, უკუნითი უკუნისამდე.

ამინ!

უჩა ასათიანი,
ცაგერის ღვთისმშობლის ეკლესიის წინამძღვარი.

შენთვის, მკითხველო!

ცაგერის წიგნის მაღაზიაში მიღებულია და გაყიდვაშია შემდეგი სახის ლიტერატურა:

შავლეგო, თბ. „ხელოვნება“ 1990 წ.

წიგნში შესულია მერაბ კოსტავას რამდენიმე პუბლიკაციური წერილი და ლექსი, სხვადასხვა ავტორთა პუბლიკაციები და ლექსები, რომლებიც საქართველოს ეროვნულ გმირს მიეძღვნა, აგრეთვე რესპუბლიკური და რაიონული პრესის გამოძახილი მერაბ კოსტავას გარდაცვალების გამო. თავმოყრილია საინტერესო ფოტომასალა.

არჩილ ჯორჯაძე, წერილები, თბ. „მერანი“ 1989 წ.

ქართველი მწერლისა და მოაზროვნის არჩილ ჯორჯაძის წინამდებარე კრებულში იბეჭდება მისი საყოველთაოდ ცნობილი წერილები, რომელთაც დიდი გავლენა მოახდინეს მე-19 საუკუნის დასასრულისა და მე-20 საუკუნის ქართულ ლიტერატურულ-კრიტიკული და საზოგადოებრივი აზროვნების განვითარებაზე. ეს წერილები დღეს ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს.

ლევან მენაბდე, რუსთველი საზღვარგარეთულ ლიტერატურაში, თბ. „საბჭოთა საქართველო“, 1990 წ.

ნაშრომში განხილულია საზღვარგარეთელ მოღვაწეთა რუსთველოლოგიური ნააზრევი მე-19 საუკუნის პირველი მეოთხედიდან უკანასკნელ წლებამდე (1803-1985), მოთხრობილია მრავალი ქვეყნის საზოგადოებრიობის მიერ რუსთველისა და „ვეფხისტყაოსნის“ გაცნობისა და შესწავლის ისტორია, ნაჩვენებია, რომ რუსთველის დამკვიდრებამ ზოგადსაკაცობრიო სარბიელზე და მისი პოემის ლიტერატურულ-მხატვრული და კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობის აღიარებამ განაპირობა საზღვარგარეთული რუსთველოლოგიური ლიტერატურის ინტენსიური ზრდა და შექმნა წინაპირობა რუსთველისათვის კიდევ უფრო საპატიო ადგილის მისაჩენად მსოფლიო კულტურის საგანძურში.

საქართველოს ისტორია, საკითხავი წიგნი, მეცნიერება, 1989 წ.

წიგნში პოპულარულადაა მოთხრობილი საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან. იგი შედგენილია აკად. ს. ჯანაშიასა და აკად. ნ. ბერძენიშვილის რედაქციით გამოქვეყნებული საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოების მიხედვით, რომლებიც თავის დროზე დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ მკითხველთა შორის. წიგნი განკუთვნილია საშუალო სკოლის უფროსკლასელთათვის და საქართველოს ისტორიით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

იოსებ მეგრელიძე, ექვთიმე თაყაიშვილი, ცხოვრება და მოღვაწეობა, თბ. „მეცნიერება“ 1989 წ.

ნაშრომში დახასიათებულია მრავალმხრივი ქართველი მეცნიერისა და დიდი პატრიოტის ექვთიმე სიმონის ძე თაყაიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა საქართველოში, რუსეთსა და ევროპაში.

იგი აქ წარმოდგენილია როგორც ისტორიკოსი, ფილოლოგი და მათი დარგების მკვლევარი, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების შემქმნელი, თბილისის უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი ეროვნული საუნჯის უბადლო ქომაგი და მისაბაძი მამულიშვილი.

მონოგრაფია ეყრდნობა საარქივო დოკუმენტებს და ილუსტრირებულია იშვიათი ფოტოსურათებით.

წიგნი განკუთვნილია სპეციალისტებისა და მკითხველთა ფართო წრისათვის.

ავტომფლობელთა საყურადღებოდ!

თანახმად, საქართველოს სსრ სათბობის სახელმწიფო კომიტეტის 1990 წლის 21 ივნისის №84 ბრძანებისა ნავთობპროდუქტების შეზღუდვის შესახებ 1990 წლის 22 აგვისტოდან დაწესდა რაიონის გასამართ სადგურებზე მსუბუქი ავტომანქანების ერთჯერადი გამართვის ნორმად 40 ლიტრი საწვავი, აიკრძალა ბენზინის გაცემა ბიდონებითა და ჭურჭლით.

ამასთან გაცნობებთ, რომ პირველ რიგში დაკმაყოფილდება რაიონში რეგისტრირებული ავტომანქანების მფლობელები.

სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომი.

გულო სამსონის ასულ ხეცურიანს
მურმან ვანოს ძე ჭიჭინაძეს

გილოცავთ ბედნიერებას, გისურვებთ შვილთა სიმრავლეს. სიყვარული ყოფილიყოს თქვენი ცხოვრების თანამგზავრი.

დარიკო, მარო ჭიჭინაძეები, გალაქტიონ, ვლადიმერ, ცუცია, ფირუზ, ჭაბუკა მადონა ჭაბუკიანები.

ბანკის გაძარცვა

ეროტლანდიის ქალაქ როსტიში როიალ ბანკ ოფსკოტლანდის გასაძარცვად სამი მამაკაცი გაემართა. მაგრამ მბრუნავ კარებში გაიჩხირნენ. თანაც ისე სახიფათოდ, რომ ბანკის მთელმა პერსონალმა ძლივს გაათავისუფლა. მძარცველებმა მადლობა გადაუხადეს ბანკის მომსახურეებს და წავიდნენ. რამდენიმე წუთის შემდეგ დაბრუნდნენ და განაცხადეს: ბანკის გაძარცვა გვინდოდაო. არც ერთმა თანამშრომელმა არ დაიჯერა. როდესაც მათ ხუთასი ათასი სტერლინგი მოსთხოვეს ამის გამგონე მოლარეს ჰომერიული სიცილი აუტყდა.

ამგვარი რეაგირებით შეცბუნებულმა ბანდის მეთაურმა პირველი მოთხოვნა ხუთას გირვანქა სტერლინგამდე შეამცირა, მეორე—ორმოცდაათამდე, ხოლო ბოლოს 50 პენსნემდე, ანუ ნახევარ გირვანქამდე დავიდა, მოლარე ხარხარს განაგრძობდა. მაშინ ერთი ბანდიტთაგანი ბარიერს გადაევლო, რომ ფულის დასტისათვის ხელი ეტაცნა. ისე უხეიროდ დაენარცხა, რომ ფეხი მოიტეხა. დანარჩენი ორი მძარცველი გაქცევას შეეცადა, მაგრამ კვლავ მბრუნავ კარებში გაიჩხირნენ, სადაც ისინი გამოძახებულმა პოლიციამ იხსნა.

რედაქტორი
ნ. ნემსაძე.

მეუღლე საშა (ცუცუნა), შვილი მთვარისა, რძლები ლოლა, ფოთოლა, სიძეები დემურ, ნოდარ ხმელიძეები, დავით ყურაშვილი, შვილიშვილები ვერიკო, თეონა, ცოლისდა პაწუა ახვლედიანი, ძმისშვილები ოლია, ჟენია, საშა, ფაქიზო, გემარი, ბიძაშვილები, ძმისშვილიშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გერონტი ანტონის ძე თუთისანი.

დაკრძალვა 29 აგვისტოს, ოთხშაბათს, სოფ. წიფერჩში.

ორბელის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი იუწყებიან რომ გარდაიცვალა ყოფილი თანამშრომელი

თომა ყარამანის ძე გვიშიანი.

ცაგერის №1 საბავშვო ბაღის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ოლია ყურაშვილს ბიძის

გერონტი თუთისანის

გარდაცვალების გამო.

დედა კატო, მეუღლე ეთერი, შვილები მერაბი, გოგი, ძმა ჯუსტანი, რძლები ნანა, ლიანა, ნათელა, შვილიშვილები მაკა, სოფო, ჯიბო, ძმისშვილები ინეზა, თამაზი, გოჩა, მეგი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ჯიბილო რომანოზის ძე ფრუიძე.

დაკრძალვა 1 სექტემბერს, შაბათს, 5 სთ-ზე, სოფ. ალპანაში.

რძალი ნაზიკო, შვილიშვილები თეა, თემურ მუშკუდიანები, ბიძაშვილი რაიბულ ჩარკვიანი, მული ლოლა, სიძეები ბუჭუ ზურაბიანი, გიგო ლიპარტელიანი, ილუშა თუთისანი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გოგუცა (მარიამ) ბესარიონის ასული ათრეფიანი-მუშკუდიანი.

დაკრძალვა 30 აგვისტოს, ხუთშაბათს, ქ. ცაგერში.

ტყიშის სასოფლო საბჭოსა და კოლმეურნეობის აპარატის მუშაკები თანაუგრძნობენ გულინა და დათო გოლეთიანებს მამისა და სიმამრის

ვალიკო სიმონის ძე ლიპარტელის

გარდაცვალების გამო.

ჩვენი მისამართი: 384100 ცაგერი, ლენინის ქ. №56. ტელეფონები: რედაქტორის—22-31, რედაქტორის მოადგილის — 22-35, პასუხისმგებელი მდივნის—22-34, განყოფილებების: სახალხო მეურნეობის—22-36, მშრომელთა წერილების—22-41, საკორექტოროს—22-43, სტამბის დირექტორის —22-17, საამწყობრო საამქროს—22-23,

გაზეთი გამოდის სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს, ინდექსი 66533, შეკვეთა 92 ტირაჟი 4483

საქართველოს სსრ ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის ქუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა.